11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" და „მომწოდებელთან".

16.2 ხელშეკრულებას თან ერთვის „დანართი N1" , რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

17. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა მისამართი: ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა ახალშენი ს/კ 248417565 მიმღები ბანკი : სს.„ლიბერთი ბანკის" ბათუმის ფილიალი ბანკის კოდი : LBRTGE22 ა/ნ GE31LB0121155931924000	შ.პ.ს. „ელდორადო" ს/კ 448391268 მის: ქ.ბათუმი, იმედაშვილის 21 სს. „ თიბისი ბანკი" ბათუმის ფ-ლი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ნ GE73 TB000000049860900
სკოლის დირექტორი: გოჩა თურმანიძე	დირექტორი ელდარ გორგილაძე